# ხელშეკრულება
# სახელმწიფო შესყიდვების შესახებ №104

ქ. ოზურგეთი 2022 წელი

ერთის მხრივ **ოზურგეთის მუნიციპალიტეტის სოფელ მერიის საჯარო სკოლა** (შემდგომში "შემსყიდველი") წარმოდგენილი მისი დირექტორის ავთანდილ კეჭაყმაძის სახით და მეორეს მხრივ ი.მ ბიძინა მჟავანაძე (შემდგომში "მიმწოდებელი")სახელმწიფო შესყიდვების კანონმდებლობისა და გამარტივებული შესყიდვის საფუძველზე დებენ წინამდებარე სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულებას შემდეგზე:

## 1. ხელშეკრულებაში გამოყენებული ტერმინთა განმარტებები

1.1. "ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვების შესახებ " ( შემდგომში - "ხელშეკრულება") - შემსყიდველსა და მიმწოდებელს შორის დადებული წინამდებარე ხელშეკრულება, რომელიც ხელმოწერილია მხარეთა მიერ მასზე თანდართული ყველა დოკუმენტით. ხელშეკრულება შედგენილია ორი თანაბარი იურიდიული ძალის მქონე ეგზემპლიარად ქართულ ენაზე. აქედან ერთი ეგზემპლიარი გადაეცემა მიმწოდებელს, ერთი- შემსყიდველს.

1.2. "ხელშეკრულების ღირებულება" - ხელშეკრულების ჯამური ღირებულება, რომელიც უნდა გადაიხადოს შემსყიდველმა მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების სრული და ზედმიწევნით შესრულების სანაცვლოდ.

1.3. "დღე" , "კვირა", "თვე" - კალენდარული დღე, კვირა, თვე.

1.4. "შემსყიდველი" - ორგანიზაცია რომელიც ახორციელებს შესყიდვას.

1.5. "მიმწოდებელი" - პირი, რომელიც ახორციელებს მომსახურებას ხელშეკრულების ფარგლებში.

1.6. "საქონელი" - ხელშეკრულების მე-2 მუხით გათვალისწინებული ხელშეკრულების საგანი.

## 2. ხელშეკრულების საგანი

2.1. შემსყიდველისთვის კატრიჯის დატუმბვა (CPV კოდი 72500000)

## 3. ხელშეკრულების ღირებულება

3.1. ხელშეკრულების ღირებულება შეადგენს: **28 (ოცდარვა)** ლარს.

3.2. საქონლის ღირებულება მოიცავს მიმწოდებლის ყველა ხარჯსა და საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ ყველა გადასახადს.

## 4. ანგარიშწორების ფორმა და ვადები

4.1. მიმწოდებელთან ანგარიშსწორება შემსყიდველის მიერ განხორციელდება ერთჯერადად, უნაღდო ანგარიშწორების ფორმით, შესაბამისი საგადასახადო დოკუმენტაციის წარმოდგენიდან 20 დღის ვადაში.

## 5. საქონლის მიწოდების ვადა

5.1. მომსახურების გაწევის ვადაა 2022წლის 20 ივნისის ჩათვლით.

## 6. მხარეთა უფლება-მოვალეობანი

6.1. **შემსყიდველი უფლებამოსილია**

6,1,1 მოსთხოვოს მიმწოდებელს ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების ჯეროვნად შესრულება;

6,1,2 გამოიყენოს კანონმდებლობით მისთვის მინიჭებული უფლებები.

**6.2. შემსყიდველი ვალდებულია**

6,2,1 სრულად და დადგენილ ვადაში გადაიხადოს „საქონლის“ საფასური, 4.1. პუნქტის მიხედვით;

6,2.2. ჯეროვნად და კეთილსინდისიერად შეასრულოს ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებები.

**6.3. მიმწოდებელი უფლებამოსილია**

6.3.1 მოსთხოვოს შემსყიდველს ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების ჯეროვნად შესრულება;

6.3.2. გამოიყენოს კანონმდებლობით მისთვის მინიჭებული უფლებები.

**6.4. მიმწოდებელი ვალდებულია:**

6,4,1 კეთილსინდისიერად და ჯეროვნად შეასრულოს ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებები;

## 7. ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულების ინსპექტირება

7.1. ხელშეკრულების ნაკისრი ვალდებულებების ინსპექტირებას განახორციელებს საინფორმაციო მენეჯერი თორნიკე კვირჩილაძე.

7.2. ინსპექტირება გულისხმობს მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულების პირობების შესრულებისა და საქონლის ხარისხის ხარისხის კონტროლს.

7.3. ყველა გამოვლენილი ხარვეზის ან ნაკლის აღმოფხვრასთან დაკავშირებული ხარჯების ანაზღაურება ეკისრება მიმწოდებელს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

## 8. პირგასამტეხლო ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობისათვის

8.1. ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შეუსრულებლობის, ვადის გადაცილების შემთხვევაში, მხარეს დაეკისრება პირგასამტეხლო ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე შეუსრულებელი ვალდებულების ღირებულების 0,1%-ის ოდენობით.

8.2. იმ შემთხვევაში, თუ დაკისრებული პირგასამტეხლოს ჯამური თანხა გადააჭარბებს ხელშეკრულების ღირებულების 10 (ათი) პროცენტს, შემსყიდველი იტოვებს უფლებას

შეწყვიტოს ხელშეკრულება და მოსთხოვოს მიმწოდებელს ხელშეკრულების შეწყვეტის მომენტისთვის გადასახდელი პირგასამტეხლოს ანაზღაურება.

8.3. პირგასამტეხლოს გადახდა არ ათავისუფლებს მხარეს ძირითადი ვალდებულებების შესრულებისაგან.

## 9. ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანა და ხელშეკრულების შეწყვეტა

9.1. ხელშეკრულებაში ნებისმიერი ცვლილების, დამატების შეტანა შესაძლებელია მხოლოდ წერილობითი ფორმით, მხარეთა შეთანხმების საფუძველზე.

9.2. ხელშეკრულების პირობების, მათ შორის ფასის შეცვლა დაუშვებელია, თუ ამ ცვლილებების შედეგად იზრდება ხელშეკრულების ღირებულება ან უარესდება ხელშეკრულების პირობები შემსყიდველისათვის, გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა. ხელშეკრულების პირობების გადასინჯვა ხდება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

9.3. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული გარემოებების დადგომის შემთხვევაში, ხელშეკრულების ჯამური ღირებულების გაზრდა დაუშვებელია ხელშეკრულების ღირებულების 10%-ზე მეტი ოდენობით.

9.4. ხელშეკრულების ერთ-ერთი მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობის შემთხვევაში მეორე მხარე უფლებამოსილია ცალმხრივად მიიღოს გადაწყვეტილება ხელშეკრულების შეწყვეტის შესახებ.

9.5. მხარე ვალდებულია არანაკლებ 5 (ხუთი) დღით ადრე წერილობით ან კომუნიკაციის ელექტრონული საშუალებების გამოყენებით შეატყობინოს მეორე მარეს 9.4 მუხლით გათვალისწინებული გადაწყვეტილების მიღების განზრახვის თაობაზე.

9.6. ხელშეკრულება ასევე შესაძლებელია შეწყდეს მხარეთა ინიციატივით, ურთიერთშეთანხმების საფუძველზე.

## 10. დაუძლეველი ძალა

10.1. მხარეები თავისუფლდებიან ხელშეკრულებით განსაზღვრული ვალდებულებების შეუსრულებლობით გამოწვეული პასუხისმგებლობისაგან, თუ აღნიშნული გამოწვეულია დაუძლეველი ძალის ზეგავლენით. აღნიშნულის არსებობის შემთხვევაში, მხარე ვალდებულია აცნობოს მეორე მხარეს ნაკისრი ვალდებულებების შესრულების შეუძლებლობის შესახებ.

10.2. თუ, ერთ-ერთი მხარე დაუძლეველი ძალის გამო ვერ ასრულებს ნაკისრ ვალდებულებებს, იგი ვალდებულია დაუყოვნებლივ, მაგრამ არაუგვიანეს მომდევნო დღისა აცნობოს მეორე მხარეს მათი დადგომის ან/და დასრულების შესახებ. წინააღმდეგ შემთხვევაში, შესაბამისი მხარე არ გათავისუფლდება ნაკისრი ვალდებულებებისაგან.

10.3. მხარეთა პასუხისმგებლობა და ვალდებულებები განახლდება დაუძლეველი ძალის მოქმედების დასრულებისთანავე.

## 11. დავები და მათი გადაწყვეტის წესი

ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში წამოჭრილი ყველა დავა გადაიჭრება ურთიერთშეთანხმების გზით. შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში, დავის

გადასაწყვეტად მხარეები უფლებამოსილნი არიან მიმართონ სასამართლოს საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

**12. ხელშეკრულების მოქმედების ვადა**

ხელშეკრულება ძალაში შედის ხელშეკრულების თავში მითითებული თარიღიდან და მოქმედებს 2022 წლის 1აგვისტოს ჩათვლით.

***13.* საერთო პირობები**

**13.1** ხელშეკრულება შედგენილია ორ თანასწორუფლებიან ეგზემპლარად და ინახება მხარეებთან.

**14. რეკვიზიტები**

| „შემსყიდველი“ | „მიმწოდებელი“ |
|---|---|
| **ოზურგეთის მუნიციპალიტეტის სოფელ მერიის საჯარო სკოლა** | **ი.მ ბიძინა მჟავანაძე** |
| მის: ოზურგეთის, რაიონი, სოფელი მერია | ქ. ოზურგეთი |
| ს/კ 237102050 | ს/კ 33001006666 |
| ს.ს საქართველოს ბანკი | სს „საქართველოს ბანკი“ |
| ბ/კ BAGAGE22 | ბ/კBAGAGE22 |
| GE40BG0000000950835800 | ა/ა GE98BG0000000279328200 |
| _____ | _____ |
| დირექტორი | |
| ავთანდილ კეჭაყმაძე | ბიძინა მჟავანაძე |